

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# ლოგისტიკა

თბილისი  
2018 წელი

## წინასიტყვაობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ტიტე ბოლქვაძე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ბოლო წლებში ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნადი და დეფიციტური პროფესიების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შემოწმება წარმოებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, რომელიც არ აღემატება 12 თვეს.

პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 თებერვალს.

პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 2 მარტის N018 ბრძანებით.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. სახელწოდება: ლოგისტიკა
2. სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა: 04113-პ
3. პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები:  
მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში/ Fourth level vocational qualification in logistics
4. მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სატვირთო გადაზიდვებისა და პორტის ლოგისტიკის სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეეძლება სატრანსპორტო, სასაწყობო, საპორტო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; ნავსადგურში მგზავრებისა და ტვირთის მოძრაობა; გადაზიდვების მონიტორინგი და დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.
5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის სპეციალისტის დასაქმების შესაძლებლობებია:
  - ტვირთების გადამზიდვ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოჯისტიკურ ორგანიზაციებში;
  - საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში;
  - სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ასოციაციებში;
  - სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში;
  - სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოჯისტიკური კომპლექსებში;
  - სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ორგანიზაციებში;
  - მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ორგანიზაციებში;
  - გამანაწილებელ და ლოჯისტიკურ ცენტრებში;
  - საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში;
  - სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.
7. სტრუქტურა და მოდულები:

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 69 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 15, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 54 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 13 თვე.

ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 45, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 54 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3	მწარმოება 2	საბაზო განათლება	2
4	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
5	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
			სულ 15
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	საბაზო განათლება	2
2	ლოგისტიკის საფუძვლები	საბაზო განათლება	5
3	გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია	ლოგისტიკის საფუძვლები	4,5
4	გადაზიდვის მომზადება	ლოგისტიკის საფუძვლები	4,5
5	საწყობის ლოგისტიკა	ლოგისტიკის საფუძვლები	5
6	საავტომობილო გადაზიდვები	ლოგისტიკის საფუძვლები	4
7	საავიაციო გადაზიდვები	ლოგისტიკის საფუძვლები	4
8	საზღვაო გადაზიდვები	ლოგისტიკის საფუძვლები	4
9	სარკინიგზო გადაზიდვები	ლოგისტიკის საფუძვლები	6
10	პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	პროგრამით გათვალისწინებული ყველა პროფესიული/დარგობრივი მოდული, გარდა საწარმოო პრაქტიკისა	3
11	საწარმოო პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	12
			სულ 54

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები: ლოგისტიკაში მეოთხე საფეხურის ის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია:**

1. დაგეგმოს სატვირთო გადაზიდვები;
2. გააფორმოს შეკვეთა;
3. განახორციელოს გადაზიდვების მონიტორინგი;
4. შეავსოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია;
5. გადაზიდვების დროს გამოთვალოს ლოგისტიკური დანახარჯები;
6. მიიღოს ტვირთი საწყობში;
7. გააკონტროლოს ნაშთები.

**9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

### 10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

### 11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

### 13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტები:
  1. სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი;
  2. საწყობის ლოგისტიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი;
  3. სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი;
  4. საჰაერო გადაყვანა/გადაზიდვების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი.
- ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტის ჩარჩო დოკუმენტი

### 13. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება

პირს ქართული ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების წარმოდგენის საფუძველზე:

- თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ პირმა გაიარა ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა და წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- თუ პირმა აკადემიის მიერ დადგენილი წესით წარმატებით გაიარა საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის მიერ ჩატარებული ქართული ენის სასერტიფიკატო გამოცდა და წარმოადგენს დამადასტურებელ სერტიფიკატს.

**პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია** „მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

### 14. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტები

- შპს „აი ტი ემ გლობალ ლოჯისტიკა“, მისამართი: ქ. თბილისი, მეტრეველის ქ. 12
- შპს „სუფარის ტრანსპორტ სერვისი“, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N4

- შპს „გაკო ტერმინალი“, მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება
- შპს „GREENWAY LOGISTIC LTD“, მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N17

**დანართები:**

1. დანართი 1 - მოდული ინფორმაციული წიგნიერება 1 061003
2. დანართი 2 - მოდული ინტერპერსონალური კომუნიკაცია 0030104
3. დანართი 3 - მოდული მეწარმეობა 2 0410004
4. დანართი 4 - მოდული რაოდენობრივი წიგნიერება 0020103
5. დანართი 5 - მოდული ინგლისური ენა 0230102
6. დანართი 6 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა 0411310
7. დანართი 7- მოდული ლოგისტიკის საფუძვლები 0411313
8. დანართი 8 - მოდული გადაზიდვის ხარჯების კალკულაცია 0411312
9. დანართი 9 - მოდული გადაზიდვის მომზადება 0411311
10. დანართი 10 - მოდული საწყობის ლოგისტიკა 0411318
11. დანართი 11 - მოდული საავტომობილო გადაზიდვები 0411316
12. დანართი 12 - მოდული საავიაციო გადაზიდვები 0411315
13. დანართი 13 - მოდული საზღვაო გადაზიდვები 0411320
14. დანართი 14 - მოდული სარკინიგზო გადაზიდვები 0411319
15. დანართი 15 - მოდული პრაქტიკული პროექტი - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა 0411314
16. დანართი 16 - მოდული საწარმოო პრაქტიკა - სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა 0411317
17. დანართი 17 - მოდული ქართული ენა A2 0110001
18. დანართი 18 - მოდული ქართული ენა B1 0110002
19. დანართი 19 - სასწავლო გეგმა
20. დანართი 20 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ